RMG AURAMINE

№ 11

Date 1.02.21

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

ბატონო / ქალბატონო,

გაცნობებთ, რომ შპს „არ ემ ჯი აურამაინ"-ს დაგეგმილი აქვს ოქრო-პოლიმეტალური მადნების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია.

საქართველოს კანონის "გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-5 მუხლის (ზოგადი დებულებანი) მოთხოვნების მიხედვით: გზშ-ს ექვემდებარება ამ კოდექსის I დანართით გათვალისწინებული საქმიანობა და ამავე კოდექსის II დანართით გათვალისწინებული ის საქმიანობა, რომელიც ამ კოდექსის მე-7 მუხლით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურის შესაბამისად მიღებული სკრინინგის გადაწყვეტილების საფუძველზე დაექვემდებარება გზშ-ს.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის II დანართის 5.1. ქვეპუნქტის მიხედვით: „სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება" ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას.

ამავე კოდექსის, მე-7 მუხლის მე-13 პუნქტის მიხედვით, თუ საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას და მიაჩნია, რომ ამ საქმიანობისთვის აუცილებელია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა, იგი უფლებამოსილია სამინისტროს კოდექსის მე-8 მუხლით დადგენილი წესით წარუდგინოს სკოპინგის განცხადება (სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე). ასეთ შემთხვევაში გამოიყენება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის კოდექსით დადგენილი მოთხოვნები.

აღნიშნულიდან გამომდინარე „არ ემ ჯი აურამაინ"-მა სკოპინგის განცხადებით მიმართა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და 2020 წლის 18 დეკემბრის N2-1184 ბრძანებით მიიღო სკოპინგის დასკვნა №95.

სკოპინგის დასკვნის შესაბამისად მომზადებული იქნა შპს „არ ემ ჯი აურამაინ"-ის ოქრო-პოლიმეტალური მადნების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე - 10 და მე - 11 მუხლების საფუძველზე წარმოგიდგენთ შპს „არ ემ ჯი აურამაინ"-ის ოქრო-პოლიმეტალური მადნების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს და გთხოვთ კანონით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად გასცეთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

წინამდებარე განცხადებას თან ერთვის საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით" გათვალისწინებული საჭირო დოკუმენტაცია.

#1 M.Aleksidze Str, 3 lane, 0193 Tbilisi, Georgia
Tel: (+995 32) 247 45 45
Email: info@richmetalsgroup.com
Web: www.richmetalsgroup.com

თბილისი 0193, მ.ალექსიძის ქ. #1 მე - 3 შესახვევი
ტელ: +995 32 247 45 45
ელ - ფოსტა: info@richmetalsgroup.com
ვებ - გვერდი: www.richmetalsgroup.com

დანართი:

1. შპს „არ ემ ჯი აურამაინ“-ის ოქრო-პოლიმეტალური მადნების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში – 2 ეგზემპლარი და ელ. ვერსია (1 CD)

2. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გაანგარიშების შესახებ პროექტი 2 ეგზემპლარი და ელ ვერსია 1 (CD)

3. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად)

4. არატექნიკური რეზიუმე - 1 ეგზემპლარი და ელ. ვერსია (1 CD)

5. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გზშ-ის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;

6. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

პატივისცემით,

შპს „არ ემ ჯი აურამაინ“-ის

გენერალური დირექტორი

თორნიკე ლიპარტია

RMG AURAMINE
405168740
RMG AURAMINE LLC